


მომწოდებლებში რეგისტრირდება იურიდიული და ფიზიკური პირები, ვისგანაც კომპანია ახორციელებს საქონლის, მომსახურების ან სხვა რაიმე აქტივის შესყიდვას.

ცნობარის ელემენტის შექმნა შესაძლებელია როგორც მანუალურად (ხელით), ასევე პაკეტურად ცხრილური დოკუმენტებიდან მონაცემების ჩატვირთვის დამუშავების გამოყენებით ([როგორ ჩავტვირთოთ გარე ფაილიდან მონაცემები](#)).

მომწოდებლის შექმნა

- ძირითად მენიუში აირჩიეთ შესყიდვების ქვესისტემა
- საცნობარო ინფორმაციის ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „მომწოდებლები“
- დააჭირეთ „შექმნა“ ღილაკს
- შეიყვანეთ მომწოდებლის სახელი
- შეიყვანეთ საიდენტიფიკაციო ნომერი. ღილაკზე „ინფორმაციის მიღება“  დაჭერით შესაძლებელია შეყვანილი ნომრის სისწორის შემოწმება და იურიდიული ინფორმაციის ავტომატური შევსება ([როგორ შევამოწმო მყიდველის/მომწოდებლის ს/ნ](#))
- იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის მიღება სუბიექტის შესახებ ვერ განხორციელდა* შეავსეთ პირის იურიდიული დასახელება, სამართლებრივი ფორმა და დღგ-ის დაბეგვრის რეჟიმი
- აირჩიეთ ძირითადი ვალუტა. აღნიშნული ვალუტით ავტომატურად ივსება ანგარიშსწორების ვალუტა კონკრეტული ოპერაციების განხორციელებისას, თუმცა შესაძლებელია მისი ცვლილება ([ვალუტაში ანგარიშსწორება](#)).
- მომწოდებლის აღრიცხვის ანგარიშები ივსება ავტომატურად, პროგრამის აწყობებში მითითებული ძირითადი ანგარიშების მიხედვით, თუმცა მათი რედაქტირება ბარათზე შესაძლებელია ([როგორ ავანყო მომწოდებლის აღრიცხვის ანგარიშები](#)).
- მომწოდებლის დამატებისათვის დააჭირეთ „ჩაწერა“ ან „ჩაწერა და დახურვა“ ღილაკს.

გადასახადები

იმ შემთხვევაში, თუ მომწოდებელთან შესყიდვები იბეგრება საშემოსავლო გადასახადით, საჭიროა „საშემოსავლო გადასახადი“ ალმის მონიშვნა „გადასახადების“ დანაყოფში და შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის კოდის მითითება.

! საშემოსავლო გადასახადის დაკავება და გადახდა ევალება საგადასახადო აგენტს, რომელიც საქართველოში გაწეული მომსახურების ღირებულებას უნაზღაურებს არარეზიდენტ პირს, აგრეთვე ფიზიკურ პირს, გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა, ნოტარიუსისა, კერძო აღმასრულებლისა, მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისა

იმ შემთხვევაში, თუ მომწოდებელთან შესყიდვები იბეგრება უკუდაბეგვრი დღგ-ით, დღგ-ით დაბეგვრის რეჟიმში უნდა აირჩიოთ „უკუდაბეგვრის დღგ“.

! დღგ-ით უკუდაბეგვრას ექვემდებარება არარეზიდენტი ფიზიკური პირის ან არარეზიდენტი საწარმოს მიერ საგადასახადო აგენტისათვის საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურება (სსკ-ის 176-ე 1(ა)).

*- ინფორმაციის მოძიება ვერ ხორციელდება თუ პირი არ არის რეზიდენტი ან
შეყვანილი სადენტიფიკაციო ნომერი არასწორია

☆ COMP (მომწოდებელი)
🔍 ⋮ □ ×

ჩაწერა და დაბურვა
ჩაწერა
🔒
ურთიერთქმედება ▼
ჰილქ

მთავარი

მისამართები, ტელეფონები

დამატებით

მომწოდებლების აქტივობა

ჯგუფი:

დასახელება:

სრული დასახელება:

დღგ-ით დაბეგვრა:

ვალუტა:

კოდი:

ს/ნ:

სამართლებრივი ფორმა:

შეღავათიანი დაბეგვის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირი

ქვეყანა:

საბანკო ანგარიში:

▼ აღრიცხვის ანგარიშები

ანგარიშსწორების აღრიცხვის ანგარიში:

ავანსების აღრიცხვის ანგარიში:

ჩასათვლელი დღგ-ს ანგარიში:

▼ გადასახადები

სამუშაოსათვის გადასახადი ?

დამატებითი ინფორმაცია

- მისამართები და ტელეფონების ჩანართზე არსებული ველები განკუთვნილია მომწოდებლის ძირითად საკონტაქტო ინფორმაციის შესავსებად.
- ჩანართზე „დამატებითი“ შესაძლებელია ტექსტური სახით დამატებითი ინფორმაციის შეყვანა (კომენტარი). ამავე ჩანართზე აისახება მომწოდებლების დამატებითი რეკვიზიტები ([როგორ ავაწყლო დამატებითი რეკვიზიტები](#))
- „მომწოდებლების აქტივობების“ ჩანართზე აისახება არსებულ პერიოდში მომწოდებლებთან დაკავშირებული ოპერაციები. ოპერაციების ფილტრაცია შესაძლებელია პერიოდის ფილტრის დაყენებით.

როგორ შევავსო აღრიცხვის ანგარიშები

იმისთვის რომ სწორად აისახოს მყიდველებთან განხორციელებული ოპერაციები, საჭიროა მომწოდებლის აღრიცხვის ანგარიშების შევსება. მომწოდებლის დამატებისას ანგარიშები ავტომატურად ივსება პროგრამის აწყობებში მითითებული ძირითადი ანგარიშების მიხედვით.

▼ აღრიცხვის ანგარიშები

ანგარიშსწორების აღრიცხვის ანგარიში: ▼

ავანსების აღრიცხვის ანგარიში: ▼

ჩასათვლელი დღგ-ს ანგარიში: ▼


აღრიცხვის ანგარიშები	აღწერა	კლასი
ანგარიშსწორების აღრიცხვის ანგარიში	გამოიყენება მომწოდებელთან დავალიანების აღრიცხვისთვის	მომწოდებელი
ავანსების აღრიცხვის ანგარიში	გამოიყენება მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების აღრიცხვისთვის ¹	ავანსები მყიდველებისგან
ჩასათვლელი დღგ-ს ანგარიში	ადგილობრივი მოწოდებიდან გამოყოფილი დღგ	

საბანკო ანგარიშის შევსება

„საბანკო ანგარიშის“ ველის შევსება შესაძლებელია მხოლოდ მომწოდებლის დამახსოვრების (ჩაწერის) შემდეგ. არჩევის ღილაკზე გამომავალ ფანჯარაში უნდა მოხდეს ახალი საბანკო ანგარიშის დამატება და მისი არჩევა ([როგორ დავამატო მყიდველის/მომწოდებლის საბანკო ანგარიში](#)). აღნიშნული ანგარიში გამოიყენება საბანკო დოკუმენტებში საბანკო ანგარიშის ავტომატური შევსებისათვის.

¹ გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ კომპანია იყენებს მყიდველების ავანსების აღრიცხვას ცალკე ანგარიშზე (ადმინისტრირება > ანგარიშსწორება > მყიდველების ავანსების აღრიცხვა ცალკე ანგარიშზე)

როგორ შევამოწმო მყიდველის/მომწოდებლის ს/ნ

მყიდველის/მომწოდებლის ბარათზე საინდეტიფიკაციო ნომრის შეყვანის შემდეგ დააჭირეთ „ინფორმაციის მიღება“ ღილაკს .

იმ შემთხვევაში, თუ პირი დარეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში, ბარათზე ივსება ინფორმაცია იურიდიული დასახელების, სამართლებრივი ფორმისა და იურიდიული მისამართის შესახებ, ასევე ივსება ინფორმაცია დღგ-ით დაბეგვრის შესახებ.

იმ შემთხვევაში თუ პირი არ არის რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში, მისი მოძიება ხდება რეზიდენტი ფიზიკური პირების სიაში, სადაც მოწმდება პირადი ნომრის სისწორე და მომხმარებელი იღებს ინფორმაციას პირის სახელის და გვარის ინიციალების შესახებ. ამ შემთხვევაში სამართლებრივ ფორმაში ავტომატურად ეთითება: „“, ხოლო დღგ-ით დაბეგვრის ველში „“.

იმ შემთხვევაში თუ ინფორმაციის მიღება საერთოდ ვერ მოხერხდა ნიშნავს, რომ პირი არ არის რეზიდენტი ან შეყვანილი ინფორმაცია არასწორია. ამ შემთხვევაში გამოდის გამაფრთხილებელი შეტყობინება და სამართლებრივ ფორმაში ავტომატურად ეთითება: „“, ხოლო დღგ-ით დაბეგვრის ველში „“.